# გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

## ოქმი#9

20 სექტემბერი 2021 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან ჯორგოძე
ზაზა ზივზივაძე
ირაკლი გოგსაძე
დიომიდე კიკნაველიძე

სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი: გია კოტორეიშვილი

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებსა და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გია კოტორეიშვილი, ნატო მაჩიტიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის 2021 წლის მე-IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: გია სახამბერიძე

**სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1** კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ინფორმაცია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებსა და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა (ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტიძემ და აგრეთვე სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი: გია კოტორეიშვილმა

**(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი:** ნატო მაჩიტიძემ განაცხადა, რომ აცრებთან დაკავშირებით ვიძლევით ინფორმაციას სად შეიძლება აცრა ჩატარდეს გვაქვს შესაბამისი პირობები აცრების ჩასატარებლად მიდინარეობს შესაბამისად ტესტირების პროცესები. უმეტესად ინფიცირება ხდება ოჯახური და სუფრის კონტაქტების შემთხვევებში

**კომისიის წევრი:** დიომიდე კიკნაველიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საყოველთაო ვაქცინაციის პროცესში თუ ჩაირთვება სოფლები და მოხდება ადგილზე აცრების ჩატარება უმჯობესი იქნება

**კომისიის თავმჯდომარე:** გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა გია კოტორეიშვილს თუ ხდება ცოფის საწინააღმდეგო აცრები და რამდენი სნით ხდება დაცული და არის უსაფრთხო ცხოველი

**სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი:** გია კოტორეიშვილმა უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ მიმდინარეობს ცოცის საწინაარმდეგო აცრები და აცრის შემთხვევაში ერთი წელი არის ცხოველი უსაფრთხო

**კომისიის თავმჯდომარე:** გია სახამბერიძემ განაცხადა, მისაღებია აცრების რეგულარული ჩატარება და კარგია, რომ ჩართულია პროცესში სოფლები

**კომისიის წევრი:** ირაკლი გოგსაძემ კითხვით მიმართა გია კოტორეიშვილს, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურს თუ ეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციები და გაძლევენ რეკომენდაციებს თუ არის გაიდლაინები

**სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი:** გია კოტორეიშვილმა უპასუხა ირაკლი გოგსაძეს, რომ იყო დახმარებები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ და გაიდლაინები, რეკომენდაციები გავეცით ფერმერები ჩართული არიან პროცესებში იყო საუბარი რძის მიმღებ პუქტთან დავაკავშირებით და ვცდილობთ ხელი შეუწყოთ რძის მიმღები პუნქტების გახსნას

**გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ** ინფორმაცია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებსა და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ. ინფორმაცია კომისიამ მიიღო ცნობის სახით

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2** კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის 2021 წლის მე-IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

**გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის** თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის 2021 წლის მე-IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი მიიღოს კომისიამ. აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

**კომისიამ გადაწყვიტა:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის 2021 წლის მე-IV კვარტლის

სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი მიიღო კომისიამ. აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

**კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია**

**მომხრე: 5**

**წინააღმდეგი: 0**

**სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა**
**სხდომა დახურულად გამოცხადდა**

**კომისიის თავმჯდომარე:** **გია სახამბერიძე**